კინგსის ქართული ენის ოლიმპიადა
I ტური
მე-9 კლასი

I ნაწილი - შემოხაზეთ სწორი პასუხი ა, ბ ან გ (60 ქულა)

1. რომელ ფორმაშია ძირი, წარმომქმნელი აფიქსი და ბრუნვის ნიშანი სწორად გამოყოფილი?
   ა) წახნაგ-ოვან-ი; ბ) ამერი-კელ-ი; გ) მ-ებატონ-ე;
2. რომელი სიტყვაა ხელობის აღმნიშვნელი წარმოქმნილი სახელი?
   ა) სამყურა; ბ) მებაღე; გ) სასადილო;
3. რომელი სახელის ფუძეში გაჩნდა *ე* თანხმოვანი ფონეტიკური მოვლენის შედეგად?
   ა) მეფე; ბ) მებაღე; გ) მტრედი;
4. რომელ წინადადებაშია საკუთარი არსებითი სახელი?
   ა) ისინი რომ ფარდას გახსნიან, სპექტაკლიც მაშინ დაიწყება.
   ბ) მშვენიერი მარგალიტა, მანდილმოხურული, გზას მიუყვებოდა.
   გ) ბერძენი ბიჭი წყალმა გამორიყა.
5. რომელ სიტყვას არ ეწარმოება მრავლობითი რიცხვი?
   ა) ნაქარგი; ბ) წიწიბურა; გ) ზონარი;
6. რომელია მართებული ფორმა მართლწერის თვალსაზრისით?
   ა) ხანდახან; ბ) ისევდაისევ; გ) საგულ-და-გულოდ;
7. რომელია მცდარი ფორმა მართლწერის თვალსაზრისით?
   ა) ხუთას შვიდი; ბ) ათასსამი; გ) საპირწონე;
8. რომელია არასწორი შესიტყვება?
   ა) მაჩაბელის გადაწყვეტილებით; ბ) მებუკის აზრით; გ) გიორგის შეთავაზებით;
9. რომელია მართებული შესიტყვება?
   ა) მათთაგანი; ბ) ჩვენთაგანი; გ) ჩვენს თაობას;
10. რომელია არასწორი ფრომა?
    ა) ორ-ნახევარი-ლიტრა; ბ) ერთი და იგივე; გ) არაფრის;
11. რომელია მართებული ფორმა?
    ა) კლასიკური მუსიკა; ბ) ეკონომიის ზრდა; გ) კომფერენციაზე წასვლა;
12. რომელია არასწორი ფორმა?
    ა) ცუდად გაიგო; ბ) ყველაზე უმძიმესი; გ) ოდნავ ტკბილი;
13. რომელია მართებული ფორმა?
    ა) უმღერია; ბ) მოუტეხავს; გ) დაუკრიფავს;
14. რომელია მცდარი ფორმა?
    ა) გაასალაშინებინა; ბ) აამბობია ; გ) მიუყვებიან;
15. რომელი აფიქსების დართვით იწარმოება უფროობითი ხარისხის ფორმა?
    ა) სა-ო; სა-ე; ბ) -იერ; -იან; გ) უ-ეს;
16. რომელი აფიქსების დართვით იწარმოება სადაურობის აღმნიშვნელი წარმოქმნილი ზედსართავი?
    ა) სა - ურ; ბ) -იკო; გ) -ელ, -ულ;
17. ჩამოთვლილთაგან რომელია მიმღეობის ფორმა?
    ა) ბერტყვა; ბ) წმენდა; გ) გამთენებელი;
18. რომელია სწორი ფორმა?
    ა) ანსხვავებს; ბ) ანცვიფრებს; გ) ფაქტობრივი;
19. რომელი არაა მართებული ფორმა?
    ა) პრინციპული; ბ) ბრძოლობს; გ) ჩააბრუნეს;
20. რომელია სწორი ფორმა?
    ა) ავღგავოთ; ბ) აღვწეროთ; გ) აღვნუსხოდ;

II ნაწილი - შემოხაზეთ სწორი პასუხი: ა, ბ ან გ (30 ქულა)

21. რომელ წინადადებაშია გამოყენებული მოქმედების აღმნიშვნელი სახელი?
    ა) ბიჭს გული მეტად ეტკინა.
    ბ) მეტოქეებმა უკან დაიხიეს.
    გ) ცოდნის შეძენა არასოდეს ეზარებოდა იორამს.
22. რა სახის სინტაქსური ურთიერთობაა წყვილში - „ დაღვრემილი მოხუცი“?
    ა) მართვა; ბ) შეთანხმება; გ) მირთვა;
23. რა სახის სინტაქსური ურთიერთობაა წყვილში - „ მეფის ბრძანება“?
    ა) შეთანხმება; ბ) მართვა; გ) მირთვა;
24. რომელ სინტაქსურ წყვილშია ადგილის გარემოება?
    ა) ბუნებაში გაიფანტა; ბ) მატყლით ქსოვდა; გ) მწიფე ვაშლი;
25. რა სახის სინტაქსური ურთიერთობაა წყვილში - „ქვეყანაზე შეყვარებული“?
    ა) მართვა; ბ) მირთვა; გ) შეთანხმება;
26. რომელ წინადადებაშია სასვენი ნიშანი სწორად დასმული?
    ა) ბევრს არ ვისაუბრებ, რამდენიმე სიტყვას მოგახსენებთ.
    ბ) სად იყო, და, სად არა, უცებ გამოჩნდა ვეებათავიანი ლურჯი არწივი.
    გ) რად გვეურჩებით მთიელებო, მოისმინეთ ჩვენი აზრიც...
27. რომელია მართებული შესიტყვება?
    ა) პოეტი ასათიანის; ბ) პოეტ ასათიანით; გ) პოეტ ასათიანმა;
28. რომელია მართებული შესიტყვება?
    ა) თითოეული მათგანი; ბ) აგრე მოიქეცით; გ) თითეული ჩვენთაგანი;
29. წინადადების რა წევრია ხაზგასმული სიტყვა წინადადებაში?
    „მოძღვრის სიტყვა ყველას მალამოდ <u>ედებოდა.</u>“
    ა) შემასმენელი; ბ) ქვემდებარე; გ) დამატება;
30. წინადადების რა წევრია ხაზგასმული სიტყვა წინადადებაში?
    „<u>პეტრეს</u> გონება გაუნათა მღვდლის სიტყვებმა.“
    ა) ქვემდებარე; ბ) შემასმენელი; გ) ირიბი დამატება;

III ნაწილი - შემოხაზეთ სწორი პასუხი: ა, ბ ან გ (10 ქულა)

31. სინონიმებისაგან შემდგარი კომპოზიტია:
    ა) წერა-კითხვა; ბ) ვაი-უი; გ) დიდ-პატარა;
32. რას ნიშნავს სიტყვათა მყარი შეხამება „გული ერჩის“?
    ა) ყველას ერჩის; ბ) ბრაზდება; გ) გულადია;
33. რას ნიშნავს სიტყვათა მყარი შეხამება „ენა მოიკვნიტა“?
    ა) ენა დაიჭეჭკა; ბ) გაჩუმდა; გ) ბევრი ილაპარაკა;
34. რომელი სიტყვაა „რულის“ სინონიმი?
    ა) სიცოცხლე; ბ) სიზმარი; გ) ძილი;
35. რომელი სიტყვაა „ღარიბის“ სინონიმი?
    ა) უპატრონო; ბ) ხელმოკლე; გ) დავრდომილი;